ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1950671

ნომერი: AR1316631

თარიღი : 08.06.2015

გაცემის თარიღი : 12.06.2015

გაცნობის თარიღი : 12.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი, დ.დიღმის გზის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი კვეზერელი პ/ნ 13001016761
- გურჯაანი ერეკლე II ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ სამსახურს აღნიშნულ ტერიტორიაზე შენობის მშენელობა შესაძლებლად მიაჩნია დროებით, 1 წლის ვადით, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქისათვის ერთ–ერთ ცენტრალური მაგისტრალზე, ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტუკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალ მხარტვრული მონაცემებით, საჭიროა მოხდეს შენობის ფასადის იერსახის დახვეწა/გადამუშავება და ისეთი იერსახის შემუშავება, რომელიც ვიზუალურად იქნება მისადაგებული თქვენ მიერ მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულ ფუნქციასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამის ველებში აიტვირთის როგორც ქუჩის, ისე ეზოს მხრიდან გადაღებული ფოტოსურათები და ზემოაღნიშნულის ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები (გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით). საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს საპროექტო შენობის გეგმაც.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შეზღუდვაში, საჭიროა წარმოადგინოთ თანხმობა აშშ საელჩოს თანხმობა შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე წარმოდგენილ იქნას იპოთეკარის, სს „თიბისი ბანკი“–ს თანხმობა შენობის განთავსებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, კერძოდ შ.პ.ს „გიუაანი“–ს განახლებული თანხმობა უშუალოდ კომერციული დანიშნულების მქონე შენობის განთავსებასთან დაკავშირებით (წარმოდგენილი თანხმობა გაცემულია დამხმარე სათავსოების მონტაჟზე).

რაც შეეხება ნომენკლატურას, გაცნობებთ, რომ მოთხოვნის ტექსტური ნაწილიდან ირკვევა, რომ საპროექტო შენობა წარმოადგენს საძირკვლის არ მქონე ობიექტს, შესაბამისად საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნაცვლად „60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა“–სა აირჩიოთ „დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა“.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.